ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრის

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

# შალვა ოგბაიძის

ანგარიში

2022 წლის
ანგარიში

**ზოგადი ინფორმაცია:**

- მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წევრი;
- საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი;
- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.

**ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის შესახებ:**

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 და ბიუროს 17 სხდომა. ჯამში, მიღებული იქნა 113 დადგენილება და 649 განკარგულება.

**ინფორმაცია საკრებულოს კომისიების/ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ:**

1. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო":**

ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს 23 სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 42 საკითხი.

2. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია:**

ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 12 სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 214 საკითხი.

3. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისია:**

**საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის 16 სხდომა, განხილული იქნა 54 საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები. კომისიის სხდომებზე განხილული იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი:**

**2021 წლის 7 დეკემბრის სხდომა:**

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წევრების თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები **(12-032134034-03, 06.12.2021).**

**2021 წლის 21 დეკემბრის სხდომა:**

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032135419-03; 20.12.2021);

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-90 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213504-03; 16.12.2021).

  ***ცვლილების შედეგად, განხორციელდა როგორც ტრანსპორტის, ასევე სპორტის დარგში მომსახურე აგენტებისთვის საქმიანობის ხელშეწყობა, საშეღავათო პირობების დაწესების გზით.***

**2021 წლის 23 დეკემბრის სხდომა:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (12-032134435-03; 10.12.2021):

  ***ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 305 418,2 ათასი ლარით. ასიგნებები მიიმართა შემდეგ პრიორიტეტებზე:***

- *სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 262,892.5 ათასი ლარი.*
- *ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 259 782,6 ათასი ლარი.*
- *ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 167 317,1 ათასი ლარი.*
- *ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 845,0 ათასი ლარი.*
- *ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 41 115,2 ათასი ლარი.*
- *ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 176 777,0 ათასი ლარი.*
- *განათლება - 208 486,9 ათასი ლარი.*
- *კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 48 805,5 ათასი ლარი.*

*სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენის პრიორიტეტი დაფინანსდა - 262 892,5 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში, პროგრამისთვის ტრანსპორტის განვითარება - გათვალისწინებული იქნა 175 331,2 ათასი ლარი.*

- ინფორმაციის მოსმენა სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ საქმიანობის შესახებ.

**2021 წლის 27 დეკემბრის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213573-03; 22.12.2021):

  *ცვლილების შედეგად, მუნიციპალურ ტრანსპორტში დაინერგა მგზავრობის ტარიფის/ფასის გადახდის ახალი მეთოდი. კერძოდ, გარდა არსებული*

*სამგზავრო პლასტიკური ბარათისა და გადახდის სხვა საშუალებისა, მოქალაქეებს საშუალება მიეცათ შეიძინონ ვადიანი სამგზავრო ბარათები.*

*მოცემული ცვლილების გათვალისწინებით, 2022 წლის 1-ლი თებერვლიდან საზოგადოებრივ ტრანსპორტში საბონენტო სისტემა ამოქმედდა. ამჟამად, დედაქალაქში მოქმედებს შემდეგი სახის აბონემენტები (ულიმიტო 90-წუთიანი ბარათი - 1 ლარი; ულიმიტო ერთდღიანი ბარათი - 3 ლარი; ულიმიტო ერთკვირიანი ბარათი - 20 ლარი; ულიმიტო ერთთვიანი ბარათი - 40 ლარი; ულიმიტო სამთვიანი ბარათი - 100 ლარი; ულიმიტო 6-თვიანი ბარათი - 150 ლარი; ერთწლიანი ბარათი - 250 ლარი).*

*2022 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით, გაყიდულია 390, 685 სამგზავრო აბონემენტი, რაც ნიშნავს იმას, რომ დედაქალაქის მაცხოვრებლები აქტიურად სარგებლობენ მუნიციპალიტეტის მხრიდან შეთავაზებული სიახლით.*

*2022 წლის 1-ლი სექტემბრიდან, სამგზავრო ბარათის დაკავშირება ნებისმიერ საბანკო ბარათთან არის შესაძლებელი, რაც მეტად კომფორტულს ხდის მგზავრობას.*

*დედაქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეტროს. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, მეტროთი გადაყვანილი იქნა 87,565,247 მგზავრი (მათ შორის, უფასო ან/და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე- 45,799,072 მგზავრი).*

*აქვე, მეტროსთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ:*

- ✓ ამჟამად თბილისის მეტროში **23** მოქმედი სადგურია, აქედან **16** განლაგებულია გლდანი-ვარკეთილის, ხოლო, **7** საბურთალოს ხაზზე. ხაზების საერთო სიგრძე **26,4** კმ-ია;
- ✓ კომპანიის ბალანსზე **193** ვაგონია. ვაგონებს ემსახურება ორი დეპო, „ნაძალადევი“ და „გლდანი“;
- ✓ გაზრდილი მგზავრთნაკადის გამო, დაგეგმილია 35 ტურნიკეტის შეძენა, რომლებიც მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრში“, „ვარკეთილსა“ და „დიდუბეში“ განთავსდება;
- ✓ იგეგმება 11 მეტროსადგურისა და ბაქნების სრული რეაბილიტაცია, ესკალატორების განახლება თანამედროვე მოდელებით, ასევე, შშმ პირებისათვის შერჩეული სადგურების სრული მექანიზაცია-აღჭურვა;

- ✓ 2022 წელს მოდერნიზაცია ჩაუტარდა 12 ვაგონს. დაწყებული კიდევ დამატებით 12 ვაგონის განახლება;
- ✓ სრულდება მეტროსადგურ ,,გოცირიძის“ სრული რეაბილიტაცია და განახლება;
- ✓ ამჟამად მეტროში მატარებლების მოძრაობის ინტერვალი პიკის საათებში პირველ ხაზზე 2,5 წუთია, საბურთალოს ხაზზე კი 3 წთ;
- ✓ დაიწყო მეტროსადგურ ,,ავლაბრის“ ზედა ვესტიბიულის სრული განახლება -რეაბილიტაცია.

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03213142-03; 10.11.2021):

*ცვლილების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დადგინდა სატრანსპორტო საშუალების ზონალური პარკირების საფასური დროის მონაკვეთების მიხედვით. რაც გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელი გახდა ზონალური პარკირების საფასურის გადახდა დროის მონაკვეთის მიხედვით (1 დღე - 20 ლარი, 1 კვირა - 100 ლარი, 1 თვე - 300 ლარი, 6 თვე - 500 ლარი, 1 წელი - 800 ლარი). აღნიშნული საფასურის გადახდის შედეგად, ავტომობილის მესაკუთრე თავისუფლდება 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების მე-3 მუხლით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ზოგადი საფასურისგან (1 კვირა - 4 ლარი, 6 თვე - 25 ლარი, 1 წელი - 50 ლარი).*

*2022 წლის 1 მარტიდან ზონალურ-საათობრივი პარკირება ამოქმედდა შემდეგ რაიონებში: დიდუბე - 115 საპარკინგე ადგილი, მთაწმინდა - 472 , ჩუღურეთი - 1116, საბურთალო 135 საპარკინგე ადგილი. შედეგად, ამ ტერიტორიაზე 1 838 ადგილია გამოყოფილი. მათ შორის, 44 ადგილი შშმ პირთა პარკირებისთვის, ხოლო ელექტრომობილების დამუხტვისთვის - ოთხი ადგილი.*

*2022 წლის 1 ივლისიდან ზონალურ საათობრივი პარკირება ამოქმედდა შემდეგ რაიონებში: საბურთალო - 1582, ისანი - 169 საპარკინგე ადგილი. მოცემულ ტერიტორიაზე ზონალურ-საათობრივი პარკირებისთვის ჯამში 1 751 ადგილია*

*გამოყოფილი. მათ შორის, 37 ადგილი შშმ პირთა პარკირებისთვის, ხოლო ელექტრომობილების დამუხტვისთვის - ოთხი ადგილი.*

*აქვე, ელექტროდამტენებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად, დედაქალაქში სხვადასხვა ლოკაციაზე დამონტაჟებულია 50 ელექტროდამტენი, იგეგმება დამატებით 23 ელექტროდამტენის მონტაჟი, ხოლო, მოქალაქეების მიერ მოთხოვნილი ელექტროდამტენების რაოდენობა, 25 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 192 ერთეულს.*

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის ,,საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროექტი თანაბარი განვითარებისათვის“ შესახებ პროექტის ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03213563-03; 21.12.2021):

  *სესხი მიზნად ისახავს, საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებასა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას საქართველოს მასშტაბით, მათ შორის, თბილისში, შემდეგი მიმართულებით - ინკლუზიური და კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი ურბანული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროების, ასევე, საქართველოს ტურისტულ კლასტერებში ხელმისაწვდომობის, შეკავშირებულობისა და მობილობის გაუმჯობესებას და მდგრადი ურბანული და რეგიონალური განვითარებისათვის ინსტიტუციური შესაძლობლებების გაძლიერებას. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხი ემსახურება პროექტით იდენტიფიცირებული ქვეპროექტების დაფინანსებას, მათ შორის, თბილისის მუნიციპალიტეტში.*

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321355186-03; 21.12.2021);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების

შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0321355186-03; 21.12.2021);

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ.

**2022 წლის 25 იანვრის სხდომა:**

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ,,თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032202162-03; 24.01.2022):

  ***საგრანტო ხელშეკრულების მიზანია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენა ახალი სამარშრუტო ქსელის დანერგვისა და რეფორმის სხვა კომპონენტების მიმართულებით. კერძოდ, ქალაქში ავტობუსების მომსახურების რეფორმების განხორციელება, რაც მოიცავს ავტობუსების მარშრუტების რესტრუქტურიზაციასა და გაფართოებას, სატარიფო სისტემის რეფორმას, მგზავრობის საფასურის გადახდის ინტეგრირებული ავტომატური სისტემის („AFC") დანერგვას და ქალაქის პოტენციალის გაზრდას მომსახურების დაგეგმვისა და ახალი საჯარო სერვისების ხელშეკრულებების მართვისა და მონიტორინგის კუთხით, რაც ქალაქს საშუალებას მისცემს მიაღწიოს მისაღებ უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით სტანდარტებს.***

**2022 წლის 15 თებერვლის სხდომა:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-032204167-03; 10.02.2022);

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ (12-032204239-03; 11.02.2022).

**2022 წლის 18 მარტის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“, საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების/ფასის, აგრეთვე რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას და საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-032207584-03; 16.03.22):

  *ცვლილების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული, ავტობუსებით ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას, უფასო მგზავრობის უფლება მიენიჭათ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ თანამშრომლებს.*

  *აღსანიშნავია, რომ ჯამში, მოცემული დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, 2022 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის მდგომარეობით, მიკროავტობუსებით გადაყვანილი იქნა უფასო ან/და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე- 22,915,745 მგზავრი, ავტობუსებით - 56,867,483 მგზავრი, მეტროთი - 45,799,072 მგზავრი, ხოლო საბაგიროთი - 31, 081 მგზავრი.*

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-032204561-03; 14.02.22);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-032204561-03; 14.02.22; 12-03220702-03;11.03.22);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03220564-03; 25.02.22);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-14 ნაწილებით, 125 2 მუხლით და 135 3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03220564-03; 25.02.22);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03220564-03; 25.02.22);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12- მე-16 ნაწილებით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), 135-ე-135 5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 135 1 –135 5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვაანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03220565-03; 25.02.22);

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-032207596-03;16.03.22):

*განხორციელებული ცვლილებით, ნებართვის მფლობელს დაეკისრა ტაქსში დადგენილი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესების დაცვის ვალდებულება და ამ წესების შეუსრულებლობის ფაქტების აღკვეთა.*

*ტაქსებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ* <u>2022 წლის 24 ოქტომბრის მდგომარეობით ტაქსის 16, 886 აქტიური ნებართვაა გაცემული.</u>

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-03220593-03; 28.02.22);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-03220593-03; 28.02.22);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (12-03220593-03; 28.02.22).

**2022 წლის 15 აპრილის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-032205940-03; 28.02.22);

- სს „საქართველოს ბანკის“ (ს/კ. 204378869) საქმესთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ (13.04.2022; 12-0322103111-03);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-0322091108-03; 01.04.2022):

  ***ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული, ავტობუსებით ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას,***

*უფასო მგზავრობის უფლება მიეცათ შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ რიგ თანამშრომლებს.*

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-0322091108-03; 01.04.2022);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-032210189-03; 11.04.2022):

  *დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ამოქმედდა 10 ახალი მარშრუტი. შემცირდა ინტერვალები M2 კატეგორიის ავტობუსების შემდეგ მარშრუტებზე: №№403,423,424,425, 428, 429, 439, 444, 445, 456, 465, 480, 496, 500, 510, 511, 520, 521, 524, 546, ასევე, №№481,503 მარშრუტებს, მგზავრთნაკადიდან გამომდინარე განესაზღვრა ახალი ინტერვალები.*

  *აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში, სრულად ჩანაცვლდა ყვითელი, ამორტიზებული მიკროავტობუსები. ამჟამად, დედაქალაქს ჰყავს <u>1000</u> ახალი, ეკოლოგიურად სუფთა და ევრო სტანდარტის მქონე მიკროავტობუსი, საიდანაც ხაზებზე მოძრაობს 749 ერთეული. ამოქმედდა ახალი მარშრუტები.*

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-032210190-03; 11.04.2022):

  *დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ამოქმედდა 7 ახალი მარშრუტი. ასევე, დაკორექტირდა არსებული მარშრუტები.*

*უნდა ითქვას, რომ 2022 წლის მარტში, ავტობუსების სამარშრუტო ნომრებში ცვლილებები განხორციელდა, ხოლო, აპრილის თვეში სრულად განახლდა ავტობუსების პარკი. ამჟამად, სატრანსპორტო კომპანიის ბალანსზე სულ 860 თანამედროვე სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსია. ყოველდღიურად კი დედაქალაქის მაცხოვრებლებსა და სტუმრებს 672 ერთეული ავტობუსი ემსახურება. ამოქმედდა 12 ახალი მარშრუტი. შედეგად, ავტობუსების/მიკროავტობუსების ტევადობა 1,5 ჯერ მეტია ადრინდელზე.*

**2022 წლის 6 მაისის სხდომა:**

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (12-0322123117-03; 03.05.2022).

**2022 წლის 6 ივნისის სხდომა:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ” (12-032215961-03; 08.06.2022);

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ლევან ნაროუშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (N12-032215961-03; 08.06.2022);

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (12-0322159128-03; 08.06.2022);

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში

რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (12-032214782-03; 27.05.2022):

*მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დადგენილებაში შევიდა ცვლილებები და $M_3$ კატეგორიის ავტობუსების რიგი მარშრუტების მოძრაობაში განხორციელდა კორექტივები. კერძოდ, გაიზარდა მარშრუტებზე მოძრავი ერთეულების რაოდენობა, რამაც განაპირობა ინტერვალების შემცირება.*

*უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის მდგომარეობით, ავტობუსებით გადაყვანილი იქნა 97,571,276 მგზავრი (მათ შორის, უფასო ან/და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე-56,867,483 მგზავრი).*

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-032214781-03; 27.05.2022):

*მგზავრთა მომსახურებისა და სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დაკორექტირდა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) რიგი მარშრუტები. მათ შორის, ## 426,429,453,496,510,511,543 მარშრუტებზე, დღის არაპიკურ პერიოდში გათვალისწინებული იქნა დამატებითი მოძრავი შემადგენლობა.*

*მომატებული მგზავრთნაკადიდან გამომდინარე, $M_2$ კატეგორიის ავტობუსების ##407,422,423,437,439,446,459,460,475,486,500,505,511,521,524,530 მარშრუტებზე თითო ერთეული მოძრავი შემადგენლობის დამატებით, ხოლო ##413,426,448,476,493,516,582 მარშრუტებზე სიჩქარის კორექტირების ხარჯზე შემცირდა ინტერვალები, რითაც გაუმჯობესდა მომსახურება და პიკურ პერიოდში უზრუნველყოფილი იქნა მზარდი მგზავრთნაკადის გადაყვანის შესაძლებლობა.*

*საანგარიშო პერიოდში, მიკროავტობუსებით გადაყვანილი იქნა დაახლოებით 50,897,198 მგზავრი (მათ შორის, უფასო ან/და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე - 22,915,745 მგზავრი).*

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-032212690 - 03; 06.05.2022).

**2022 წლის 15 ივნისის სხდომა:**

- პეტრე მელიქიშვილის გამზირის რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

**2022 წლის 12 ივლისის სხდომა:**

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0322192133-03; 11.07.2022);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-03221811-03; 30.06.2022);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134-ე მუხლით (მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებში), 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15

ნაწილებით, $125^2$ მუხლით, $135^1$–$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-032219264-03; 11.07.2022);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №79-36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-032219264-03; 11.07.2022);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორიის და მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (12-032219264-03; 11.07.2022).

**2022 წლის 16 ივლისის სხდომა:**

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (12-032219594-03; 14.07.2022).

**2022 წლის 9 აგვისტოს სხდომა:**

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032220246-03; 21.07.2022):

  *წარმოდგენილი პროექტის თანახმად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში საბაგირო დერეფნების განთავსების განახლებული არეალები აისახა.*

  *აქვე, ზოგადად, საბაგიროებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარეობს რუსთაველი - მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის სრული განახლება და მშენებლობა, ხოლო რიყე-ნარიყალას საბაგირო გზას ჩაუტარდა გეგმიური სარემონტო სამუშაოები.*

  *ამასთან, 2022 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრის მდგომარეობით, საბაგიროთი გადაყვანილი იქნა 1,213,979 მგზავრი.*

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის „მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში” პროექტის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032221694-03; 04.08.2022):

  *განკარგულების ფარგლებში, საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KFW) შორის, ,,მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია 47,000,000 (ორმოცდაშვიდი მილიონი) ევროს ოდენობის სესხის და 1,500,000 (მილიონ ხუთასი ათასი) ევროს ოდენობის გრანტის შეთანხმებაზე ხელმოწერა, რომელიც მიზნად ისახავს თბილისში გონიერი სატრანსპორტო სისტემისა (ITS) და მდგრადი სატრანსპორტო და ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ხოლო გრანტის სახსრებით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ექსპერტ-კონსულტანტთა ჯგუფის მიერ წინამდებარე პროექტის განხორციელების ტექნიკურ მხარდაჭერას.*

**2022 წლის 9 სექტემბრის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032225043-03; 07.09.2022);

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032224335-03; 31.08.2022);

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032224335-03; 31.08.2022);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, $134^1$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, $125^2$ მუხლით, 135-ე-$135^5$ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032224335-03; 31.08.2022);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032224335-03; 31.08.2022):

  *ცვლილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული, ავტობუსებით ($M_2$ და $M_3$ კატეგორიები), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო მგზავრობის უფლება მიენიჭათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს რიგ თანამშრომლებს, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს მეტროპოლიტენის სამმართველოს თანამშრომლებს (პატრულ-ინსპექტორებს), რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით პატრულირებას ახორციელებენ მეტროსადგურებში.*

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_3$ კატეგორიის და $M_2$ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032224335-03; 31.08.2022).

**2022 წლის 7 ოქტომბრის სხდომა:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032227789-03; 04.10.2022).

**ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:**

**საანგარიშო პერიოდში:**

- ✓ შედგა შეხვედრები მოქალაქეებთან (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებთან). თითოეულ მათგანს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია და დახმარება;

- ✓ სატრანსპორტო საკითხთა კომისიაში სხვადასხვა მოთხოვნით შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე განხორციელებული იქნა სათანადო რეაგირება;

- ✓ რიგ შემთხვევებში, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომისიაში შემოსული ინფორმაციის (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი) გადამოწმებისა და მითითებული ფაქტების დეტალურად შესწავლის მიზნით, კომისიის წარმომადგენლები და სხვა უწყებების უფლებამოსილი პირები, ადგილზე გაეცნენ არსებულ ვითარებას და პრობლემის ოპერატიულად გადაჭრის მიზნით, დაგეგმეს განსახორციელებელი ღონისძიებები;

- ✓ განცხადებებში დასმული პრობლემური საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, დაიგეგმა და ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, როგორც საკრებულოს შენობაში, ისე მის გარეთ;

- ✓ ასევე, სხვადასხვა უწყებებიდან, როგორც მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ისე ცალკეულ შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია/გაიგზავნა შეკითხვა და ინიციატივა.

**სამუშაო შეხვედრები და სხვა სახის აქტივობები:**

- ✓ 9 ნოემბერი, 2021 - გასვლითი სამუშაო შეხვედრა, ბესიკის ქ. №9-ის მიმდებარედ, თემა: საგზაო ნიშნები.
- ✓ 10 ნოემბერი, 2021 - ლილო, ლილო არენაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ადგილზე დათვალიერება;
- ✓ 1 თებერვალი, 2022 - დიდი დიღმის №2 ავტობაზის ადგილზე დათვალიერება;
- ✓ 7 მარტი, 2022 - თბილისის საკრებულო, საჯარო სამსახურის ბიუროს და USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივით, GGI მხარდაჭერით მომზადებული გზამკვლევის პრეზენტაცია;
- ✓ 7 მარტი, 2022 - თბილისის საკრებულო, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად სისხლის დონაციის აქციაში მონაწილეობა და „ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტთან“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ღონისძებაზე დასწრება;
- ✓ 16 მარტი, 2022 - თბილისის საკრებულო, უკრაინის მოქალაქეებთან შეხვედრაში მონაწილეობა;
- ✓ 18 მარტი, 2022 - მეექვსე საავტორო სკოლა, პროექტის ,,შეჩერდი, ზებრა ჩვენია!“ პრეზენტაცია;
- ✓ 21 მარტი, 2022 - ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“, გადაცემა ,,დილა მშვიდობისა საქართველო“;
- ✓ 21 მარტი, 2022 - თბილისის საკრებულო, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ✓ 11 აპრილი, 2022 - არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად N180-ე და N117-ე საჯარო სკოლების მიმდებარე ტერიტორიებთან არსებული საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დათვალიერება და სიტუაციის ადგილზე გაცნობა;
- ✓ 14 აპრილი, 2022 - თბილისის საკრებულო, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ✓ 17 აპრილი, 2022 - შეხვედრა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, თემა: უსაფრთხო სასკოლო ზონები;
- ✓ 18 აპრილი, 2022 - შეხვედრა კომპანია ,,ალმას“ წარმომადგენლებთან;

- ✓ 20 აპრილი, 2022 - გასვლითი შეხვედრა ქერჩის ქუჩაზე, საგზაო ნიშნების განთავსების მიზნით;
- ✓ 26 აპრილი, 2022 - რადიო ,,იმედი“, თემა: მართვის მოწმობის აღების ახალი წესები;
- ✓ 29 აპრილი, 2022 - პირველი არხი, გადაცემა ,,ახალი დღე“;
- ✓ 9 მაისი, 2022- მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მიგების ცერემონიალი;
- ✓ 18 მაისი, 2022 - ინტერნეტ ტელევიზია ,,ახალი", გადაცემა ,,თავისუფალი სიტყვა“;
- ✓ 20 მაისი, 2022 - სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს და პარტნიორ კომპანია GiZ-ის მიერ, ერთობლივი ინიციატივით გამოცხადებული კონკურსის დაჯილდოების ცერემონია;
- ✓ 20 მაისი, 2022 - კამპანიის ,,წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში“ ფარგლებში, 2022 წლის ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით მოასპარეზე საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების საკრებულოში მიღების ღონისძიება;
- ✓ 24 მაისი, 2022 - სამუშაო შეხვედრა კომპანია Mott MacDonald-ის წარმომადგენლებთან;
- ✓ 1 ივნისი, 2022 - ტელეკომპანია ,,მაესტრო“, გადაცემა ,,დედაქალაქი“;
- ✓ 7 ივნისი, 2022 - რეტრო-ავტომობილების კოლონის მასპინძლობა საკრებულოსთან;
- ✓ 8 ივნისი, 2022 - საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია;
- ✓ 15 ივნისი, 2022 - სამუშაო შეხვედრა მელიქიშვილის გამზირის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;
- ✓ 22 ივნისი, 2022 - ,,წლის მკითხველი 2022“ დაჯილდოების ცერემონიალი;
- ✓ 25 ივლისი, 2022 - TV პირველი, გადაცემა ,,საქმის კურსი“;
- ✓ 26 ივლისი, 2022 - ტელეკომპანია ,,ობიექტივი“, თემა: საგზაო უსაფრთხოება;

- ✓ 8 აგვისტო, 2022 - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული გმირების ხსოვნისადმი პატივის მიგება;
- ✓ 18 აგვისტო, 2022 - შეხვედრა საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებთან;
- ✓ 6 სექტემბერი, 2022 - FIBA ევრობასკეტ-2022-ის გახსნის ღონისძიება;
- ✓ 6 სექტემბერი, 2022 - მელიქიშვილისა და ქეთევან დედოფლის გამზირებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ადგილზე გაცნობა;
- ✓ 7 სექტემბერი, 2022 - დედაქალაქის დასუფთავებისთვის განკუთვნილი ახალი ტექნიკის პრეზენტაცია;
- ✓ 16 სექტემბერი, 2022 - ევროპის მობილობის კვირეულის (EMW) კონფერენცია;
- ✓ 29 სექტემბერი, 2022 - სამუშაო შეხვედრა ,,East-West Connectivity“ პროექტთან დაკავშირებით;
- ✓ 6 ოქტომბერი, 2022 - სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია Mott MacDonald-ის წარმომადგენლებთან;
- ✓ 6 ოქტომბერი, 2022 - სამუშაო შეხვედრა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსთან ვიქტორ წილოსანთან;
- ✓ 8 ოქტომბერი, 2022 - პირველი არხი, გადაცემა ,,აქტუალური შაბათი“, თემა: სატრანსპორტო პრობლემები თბილისში.